ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი

ალექსანდრე ახმეტელი დაიბადა 1886 წელს ქიზიყში, სოფელ ანაგაში. სანდრო ახმეტელის მამა ვასილ დავითის ძე ახმეტელი სოფლის მღვდელი იყო. დედა – მარიამ დიმიტრის ასული ოდიშელიძე-ახმეტელისა წარმოშობით სოფელ გურჯაანიდან გახლდათ. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. სანდრო მეოთხე შვილი იყო. მიუხედავად განსაკუთრებული სიძნელეებისა, მშობლებმა შეძლეს ხუთივე შვილისთვის უმაღლესი განათლება მიეცათ. როდესაც სანდროს ხუთი წელი შეუსრულდა, ოჯახი სოფელ ანაგიდან თელავში გადავიდა საცხოვრებლად და 8 წლის სანდრო თელავის სასწავლებელში მიაბარეს.

1900 წელს სანდრომ დაამთავრა თელავის სასწავლებელი და იმავე წელს მშობლებმა განჯის გიმნაზიაში გადაიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად.

სანდრო ბავშვობიდანვე იჩენდა განსაკუთრებულ ინტერესს მუსიკისადმი. მას შესანიშნავი სმენა ჰქონდა და მუსიკაც იზიდავდა. ადვილად ითვისებდა ურთულეს ჰანგებს. უყვარდა ქართულ საკრავებზე დაკვრა. ერთ დროს სანდრო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის გუნდშიც მღეროდა. განჯის გიმნაზიაში სწავლის დროს დაავალეს „მამაო ჩვენოს“ გალობის პირველი ხმის შესრულება. სანდრომ ეს დავალება შეურაცხყოფად მიიღო და წინა დღეს მარილწყლის სმით ხმა შეგნებულად გაიფუჭა. გიმნაზიის ადმინისტრაციამ ამ საქციელის გამო სანდრო სასწავლებლიდან გარიცხა. აღნიშნული ინცინდენტის შემდეგ სანდროს აღარასდროს უმღერია.

1902 წელს მშობლებმა სანდრო ახმეტელი განჯიდან თბილისში ჩამოიყვანეს და ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც განმათავისუფლებელმა ლიტერატურამ და რევოლუციურმა იდეებმა გაიტაცეს.

1905 წლის რევოლუციურ მსვლელობაში აქტიურად მონაწილეობდა, რის გამოც დააპატიმრეს და მისი საქმე სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს. მძიმე სასჯელს სრულიად შემთხვევით გადაურჩა. მისმა მეგობრებმა გამომძიებელი მოისყიდეს და მისი საქმეც მოსპეს.

1906 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა ქართული გიმნაზია, მომდევნო წელს რუსეთში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად და ჩაირიცხა კიდეც პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სანდრო ახმეტელი მოწაფეობის დროს, არდადეგებზე თელავში ჩასვლისას აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდების მიერ დაარსებულ დრამატულ წრეში. იგი თავად დგამდა წარმოდგენებს. მათ შორის აღსანიშნავია აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, რომელშიც თავად უსინათლო მოხუცი გელას როლს ასრულებდა. პიესას თავადვე ამონტაჟებდა, მიზანსცენებსა და კომპოზიციას თავადვე არჩევდა და როლების განაწილებაც საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული. სანდრო ახმეტელი დრამატული წრის მუშაობამ ძალიან გაიტაცა და სტუდენტობის დროსაც პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსვლისას, როგორც თელავის წრის, აგრეთვე თბილისში ქართული თეატრის წარმოდგენებსაც ესწრებოდა.

1909-1913 წლებში სანდრო ახმეტელმა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვა დაიწყო. მოგვიანებით კი მისი სტატიები თეატრალური ხელოვნების საკითხებსაც ეხებოდა. ამავე წლიდან პეტერბურგიდან თბილისში არდადეგებზე ჩამოსვლის დროს, რამდენიმე საჯარო მოხსენება წაიკითხა ყოფილ ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ქართული თეატრის პრობლემების შესახებ. 1915 წელს სანდრო ახმეტელი პოეტ სანდრო შანშიაშვილთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა გაზეთ „საქართველოს“ გამოცემაში.

1916 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და 1917 წლის დასაწყისში დაბრუნდა საქართველოში, სადაც დაიწყო სავექილო საქმიანობა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობა. როგორც სტუდენტობის პერიოდში, ასევე შემდგომ სანდრო ახმეტელი დიდ ყურადღებას იჩენდა თეატრალურ ხელოვნებისადმი. მაშინდელმა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ 1918 წელს სოლომონ ახვლედიანის ინიციატივით (სოლომონ ახვლედიანი იყო ცნობილი ქართველი მსახიობ ნინო დავითაშვილის მეუღლე) სანდრო ახმეტელი მიიწვიეს ქართულ თეატრში რეჟისორად. იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იმისა, რომ ყოფილი არტისტული საზოგადოების თეატრის შენობა გადაეცათ ქართული თეატრისთვის და მისთვის შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭებინათ.

1920 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში სანდრო ახმეტელმა განახორციელა პირველი დადგმა სანდრო შანშიაშვილის პიესისა „ბერდო ზმანია“(მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი). სპექტაკლი ყოველთვის ანშლაგით მიმდინარეობდა. წარმოდგენა იზიდავდა მაყურებელს მონუმენტური სტილითა და უჩვეულო მხატვრული გაფორმებით. გამოჩენილი ქართველი მსახიობი ტასო აბაშიძე ამ

წარმოდგენის შესახებ თავის მემუარებში წერდა: „თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სადმე მოსკოვის ან ლენინგრადის თეატრში ვყოფილიყავი, მაკვირვებდა გრანდიოზული და ლამაზი ფერებით შეხამებული დეკორაციები“.

ქართულ სცენაზე პირველად იყო დადგმული წარმოდგენა მუსიკალური უვერტიურითა და გაფორმებით, ლამაზი ბარელიეფური გამომხატველობის მასობრივი სცენებით, აქტიორთა მაღალი ოსტატობით. სპექტაკლში გამოყენებული იყო ქართული ცეკვები საბალეტო იერით. ქართველმა საზოგადოებამ სპექტაკლი „ბერდო-ზმანია“ მიიღო როგორც სანდრო ახმეტელის მიერ გამოცდის ბრწყინვალე ჩაბარება.

1922 წელს საქართველოში ჩამოვიდა განთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. იგი მიიწვიეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორად. 1923 წლიდან 1925 წლამდე კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ერთად მუშაობდნენ და ერთობლივად მრავალი დადგმა განახორციელეს, მათ შორის: ვერფელის პიესა „შპიგელმენში“, ჯონ სინგის „გმირი“, სანდრო შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები“, თამარ ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთამზე“და სხვ.

სანდრო ახმეტელი შ. რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობასთან ერთად ასევე ცალკეულ დადგმებსაც ახორციელებდა თეატრალურ სტუდიაში და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მისი რეჟისორობით დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზაქარია ფალიშვილის ოპერა „ლატავრა“ და კოტე მარჯანიშვილთან ერთად ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

პარალელურად სანდრო ახმეტელი მუშაობდა სახელმწიფო კონსერვატორიის ოპერის კლასის რეჟისორად. 1926 წელს მისი ხელმძღვანელობით კონსერვატორიის სტუდენტების მონაწილეობით დადგა რუჯერო ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები“.

1926 წლიდან 1935 წლამდე სანდრო ახმეტელი შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა. მან ამ პერიოდში განახორციელა მთელი რიგი დადგმები: ა. გლებოვის, „ზაგმუკი“, ლავრენევის „რღვევა“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით), შალვა დადიანის „თეთნულდი“, ვ. ივანოვის „ანზორ“ (გადმოკეთებული სანდრო შანშიაშვილის მიერ), კირშონის „ქართაქალაქი“, ჰმიზენ კლევერის „საქმის კაცი“, შკვარკინის „ნაბიჭვარი“, ბილბელოცერკოვსკის – „ინტერვენცია“, „უდეგა“, საჭე მარცხნივ“, ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“, პროსპერ მერიმეს კ. ლიფსკეროვი „კარმენსიტა“, „ლატავრას“ განახლებული დადგმა და სხვ.

სწორედ ამ დადგმებით შ. რუსთაველის სახელობის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით 1933 წელს საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის წარმატებას საზღვარგარეთის პრესაც გამოეხმაურა.

1935 წელს სანდრო ახმეტელი გაათავისუფლეს შ. რუსთაველის სახელობის თეატრიდან და ხალხის მტრად შერაცხეს. იგი იძულებული შეიქნა საქართველოდან რუსეთში გამგზავრებულიყო და იქ გაეგრძელებინა სარეჟისორო მოღვაწეობა. სამწუხაროდ, მას იქაც ხელოვნურად შეუქმნეს პრობლემები და 1936 წელს დააპატიმრეს.

1937 წელს სანდრო ახმეტელი დახვრიტეს.

1956 წელს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კომისიამ სანდრო ახმეტელის საქმე ხელმეორედ განიხილა და იგი სრულიად უდანაშაულოდ ცნეს.

ალექსანდრე ახმეტელის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ალექსანდრე ახმეტელისა და ანასტასია როსტომაშვილის ქორწინების მოწმობა.
1908 წ. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. 1918 წლის 23 ივნისს შედგენილი აქტი სახელმწიფო თეატრში კონცერტის შემდეგ სალაროს კარზე შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
1918 წ. 23 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი ალექსანდრე წუწუნავა, ალექსანდრე ახმეტელი, დ. ჩარუევი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისრის თხოვნა, სახელმწიფო თეატრის კომისარ – ალექსანდრე წუწუნავასადმი. ხელოვნების კომისრის დადგენილებით, დაევალოს ალექსანდრე ახმეტელს მოელაპარაკოს შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო თეატრის კომისარს ალექსანდრე წუწუნავას, თბილისის დრამატული საზოგადოების შესახებ.
1918 წ. 15 ოქტომბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თავმჯდომარის მაგივრად ალექსანდრე ახმეტელი, მდივნის მაგივრად პ. ლეჟავა. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

4. ხელოვნების კომისიის თხოვნა სახელმწიფო თეატრის კომისარ ალექსანდრე წუწუნავასადმი, ქუთაისის დრამატული საზოგადოებისთვის ფინანსური დახმარების შესახებ.
1918 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ახმეტელი, მდივნის მაგივრად პ. ლეჟავა. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

5. ალექსანდრე ახმეტელის განცხადება რუსთაველის სახელობის თეატრის გამგისადმი პიესაში „სალომე“ ბეგთაბეგოვთან ერთად საბალეტო დადგმების ერთობლივად დამუშავებასთან დაკავშირებით.
1923 წ. 6 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი. 1 გვ.

6. ალექსანდრე ახმეტელის განცხადება ფულადი დახმარების შესახებ.
1923 წ. 14 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ცნობა, სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციისადმი, ქართული დრამის რეჟისორ ალექსანდრე ახმეტელისადმი ოპერა „აბესალომ და ეთერის“დადგმისთვის 250 მანეთის გადაცემასთან დაკავშირებით.
1924 წ. 12, 16, 17 მაისი. ნაბეჭდი. მასალას ერთვის ღოღობერიძისა და შ. ელიავას დადებითი რეზოლუციები. 1 გვ.

8. კორპორაცია „დურუჯის“ წევრთა წერილი კოტე მარჯანიშვილისადმი, კორპორაციაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. მითითებულია კორპორანტთა სია შემდეგი შემადგენლობით: შალვა ღამბაშიძე, დ. მჟავია, დოდო ანთაძე, ალექსანდრე გველესიანი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ელენე დონაური, ვეჩე ჯიქია, აკაკი ხორავა, ივანე პატარიძე, დავით ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი სარჩიმელიძე, გიორგი დავითაშვილი, პლატონ კორიშელი, ელიზავეტა (ბუჟუჟა) შავიშვილი.
1924 წ. 5 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

9. ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მიერ გაცემული ბრძანება, რუსთაველის სახელობის თეატრისა და ქართული აკადემიური დრამის საერთო რეორგანიზაციისა და ხარჯების შემცირების შესახებ. მითითებულია რეჟისორთა და მსახიობთა გვარები, რომლებსაც ხელფასი შეუნარჩუნდათ:

სამხატვრო ნაწილის გამგე კოტე მარჯანიშვილი, მთავარი რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელი, მორიგე რეჟისორი დოდო ანთაძე, კომპოზიტორი იონა ტუსკია, მოკარნახე პ. ჟორდანია; მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე დონაური, თამარ ჭავჭავაძე, ნატალია ჯავახიშვილი, სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, პლატონ კორიშელი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა.
1926 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

10. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის დადგენილება კოტე მარჯანიშვილის, ალექსანდრე ახმეტელისა და კორპორაცია „დურუჯის“ ურთიერთობის შესახებ.
პირი: ლ. ღოღობერიძე, ზაქრო (შაქრო) ბერიშვილი, პლატონ კორიშელი.
1926 წ. 5 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. აკაკი ვასაძის მიმართვა კუკური პატარიძისადმი, ალ. ახმეტელსა და კ. მარჯანიშვილს შორის ორი მოწმის თანდასწრებით მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, აგრეთვე კორპორანტების მიერ სხვადასხვა საქმის წამოწყების შესახებ.
პირი: მანაველი, მიშა სარაული, კოლია ჩაგუნავა, კოტე [მარჯანიშვილი], შაქრო ბერიშვილი, პლატონ კორიშელი, დავით ჩხეიძე, ვერიკო [ანჯაფარიძე], დოდო [ანთაძე], შალიკო (გვარი მითითებული არ არის).
1926 წ. 5 აგვისტო. რიონი. ნაბეჭდი. 2 გვ.

12. აკ. ვასაძის წერილი კუკური პატარიძისადმი, პლატონ კორიშელის მიერ შედგენილი კ. მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელს შორის გამართული მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშის შესახებ.
პირი: სარჩიმელიძე, ლ. ლორთქიფანიძე, შავიშვილი, დ. ჩხეიძე, კანდელაკი, აბაშიძე, იმედაშვილი, ზარდალაშვილი, გელოვანი, ჭიაურელი (კორპორანტები), ბერიშვილი (მოწმე).
1926 წ. 6 აგვისტო. რიონი. ხელნაწერი და ნაბეჭდი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

13. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ბრძანება, რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგის ალექსანდრე ახმეტელის საქართველოს კომპარტიის ყრილობის მიმდინარეობის დროს სამხატვრო საღამოებისა და წარმოდგენების მთავარ ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.
1927 წ. 10 მარტი. ნაბეჭდი. 1 გვ.

14. რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაობის გამომკვლეველი კომისიის ოქმი, რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაობის „ნამდვილი მდგომარეობის“ შესწავლის შესახებ.
პირი: დავით კანდელაკი, მამულია, თოხაძე, მიქაძე, ხვედელიძე, დიასამიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, კოტე მარჯანიშვილი, ლადო მესხიშვილი, აკაკი ხორავა, დოდო ანთაძე, კუკური პატარიძე, ია ქანთარია, არჩილ ჩხარტიშვილი, შალვა ღამბაშიძე, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, გელოვანი, კანდელაკი, აბაშიძე, გველესიანი, პლატონ კორიშელი, მიხეილ ლორთქიფანიძე, გიორგი დავითაშვილი, მიხეილ ქორელი, ირაკლი გამრეკელი, ნიკო გოცირიძე, თ. ბაქრაძე, ბოკერია, მჟავია, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ წულუკიძე, იაშვილი, ვასო გოძიაშვილი.
1928 წ. 25 აპრილი. ნაბეჭდი. არასრული. 16 გვ.

15. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა და მუშა-მომსახურეთა საერთო კრების ჩანაწერი, კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (სიტყვით გამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ახმეტელი).
1933 წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.

16. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის უკანასკნელი დადგენილების თანახმად გაცემული ცნობა, რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელის ალექსანდრე ახმეტელის, რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავასა და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძისადმი სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1933 წ. 20 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საქმეთა მმართველი დიასამიძე. 1 გვ.

17. 1933 წელს ლენინგრადში გამართული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად აღიარების შესახებ (სიტყვით გამოვიდა შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მმართველი ალექსანდრე ახმეტელი, აგრეთვე აბაევი, მალცევი, ვსევოლოჟსკი, მარტინოლი).
1933 წ. ლენინგრადი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 53 გვ.

18. სანახაობათა და რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის გ. მდივნის მოხსენებითი ბარათი, საქართველოს კპ(ბ)ცკ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე გოგიბაშვილისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელის ალექსანდრე ახმეტელის მიერ მიმდინარე რეპერტუარის წარდგენის შესახებ.
1935 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სანახაობათა და რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. მდივანი. 1 გვ.

19. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორის გრიგოლ ბუხნიკაშვილის მიერ გაცემული ცნობა რეჟისორ ალექსანდრე ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1955 წ. 22 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

20. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე ახმეტელის საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1956 წ. 23 აპრილი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ცნობა, სოცუზრუნველყოფის სამინისტროში წარსადგენად, ალექსანდრე ახმეტელის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.
1956 წ. 24 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

22. საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე ახმეტელის რეაბილიტაციის შესახებ.
1956 წ. 26 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. მასალა დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბეჭდით. 2 ეგზ. 1 გვ.

23. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ.
1956 წ. 6 ივნისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

24. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ გაცემული ცნობა, ალექსანდრე ახმეტელისათვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ (1933 წ. 20 დეკემბერი).
1956 წ. 24 ივნისი. თბილისი. ხელნაწერი. ასლი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

25. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში წარსადგენად, ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ (ჩასწორებული სათეატრო მუზეუმის დირექტორის გრიგოლ ბუხნიკაშვილის მიერ).
1956 წ. 6 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სათეატრო მუზეუმის დირექტორი გრიგოლ ბუხნიკაშვილი, არქივის გამგე ნ. ელიაშვილი. 3 გვ.

26. შალვა ელიავას მოხსენებითი ბარათი კორპორაცია „დურუჯთან“ დაკავშირებით (1927 წ. 4 იანვარი) პირი: ალექსანდრე ახმეტელი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, პლატონ კორიშელი.
1956 წ. ხელნაწერი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

27. ალ. ახმეტელის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.
1956 წ. ნაბეჭდი. მასალა მოწოდებულია შალვა ახმეტელის (ალექსანდრე ახმეტელის შვილის) მიერ. 3 ეგზ. 5 გვ.

28. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ანასტასია როსტომაშვილი-ახმეტელისა და მისი მეუღლის ალექსანდრე ახმეტელის თანაცხოვრების შესახებ. სახალხო მოსამართლე მაისურაძე. სახალხო მსაჯულები: ახალაძე, ისაკაძე. მდივანი ამაშუკელი.
1958 წ. 26 მაისი. ხელნაწერი. ასლი. 1 გვ.

29. ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის ცაკის მეხუთე მოწვევის წევრად, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ცაკის წევრად არჩევის შესახებ (1929-1931 წწ.).
1961 წ. 10 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

30. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 8 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სათეატრო მუზეუმის სწავლული მდივანი ქეთევან ჩხიკვაძე. 1 გვ.

31. საქართველოს კულტურის მინისტრის თ. ბუაჩიძის მიმართვა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივან დ. სტურუასადმი, ალექსანდრე ახმეტელის დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების შესახებ.
1963 წ. 6 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 2 გვ.

32. უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის მეცნიერ თანამშრომლის ნ. ლაბინსკის ოფიციალური წერილი თეატრალური მუზეუმისადმი, ალ. ახმეტელის გარშემო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.
1976 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

33. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართვა საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორის გ. ბუხნიკაშვილისადმი, რეჟისორ ალექსანდრე ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავის საიუბილეო კომისიის დადგენილებით, რუსთაველის სახელობის თეატრთან ერთად საიუბილეო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.
1978 წ. 10 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

34. საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ალექსანდრე ახმეტელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა.
1987 წ. 14 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 ეგზ. 1 ც.

35. საქართველოს სათეატრო მუზეუმში დაცული მასალის სია ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

36. ალექსანდრე ახმეტელის დახასიათება.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

37. ალ. ახმეტელის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს სცენარი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 16 გვ.

38. ალ. ახმეტელის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის თემატური გეგმა (1987 წ.).
უთარიღო. ნაბეჭდი. 5 გვ.

39. ალ. ახმეტელის 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების პროექტი (1987 წ.).
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

40. ალექსანდრე ახმეტელის სტატია მოსკოვის სამხატვრო თეატრის შესახებ.
1914 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

41. ალ. ახმეტელი – „მასალები რუსთაველის სახელობის თეატრის ისტორიისათვის“.
1920-1921 წწ.
1921 წ. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 18 გვ.

42. რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სარეპეტიციო ჩანაწერები სპექტაკლისა „გააზნაურებული მდაბიო“, 1923 წლის 13 ივლისი – 1924 წლის 2 იანვარი. რეჟისორები: კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი. მხატვარი ნ. უშინი.
1923 წ. 13 ივლისი – 1924 წ. 2 იანვარი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 34 გვ.

43. ალ. ახმეტელის სტატია რუსთაველის სახელობის თეატრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულისათვის.
1934 წ. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 4 გვ.

44. ნაწყვეტი ალ. ახმეტელის დასკვნითი სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 1930 წლის 21 ივნისს კომუნისტურ აკადემიაში ოლიმპიადისადმი მიძღვნილ თეატრალური სექციის პლენარულ სხდომაზე.
პირი: კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

45. ალ. ახმეტელის ჩანაწერი პირობითი რეფლექსის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ალექსანდრე ახმეტელის მოგონებები და ჩანაწერები

46. ალექსანდრე ახმეტელის მოგონება შალიკოს (შვილის) დაბადებასთან დაკავშირებით (ამოწერილი ტასო როსტომაშვილის მიერ).
1905 წ. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

47. ალ. ახმეტელის მოგონება სერგეი კიროვზე, სერგო ორჯონიკიძესა და სტალინზე. იგონებს მოსკოვის მცირე თეატრში რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებს, სტალინისა და კიროვის დასწრებას სპექტაკლ „ლამარასა“და „ანზორიზე“.
1930 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

48. ალ. ახმეტელის მოგონება „რუსთაველის სახელობის თეატრის რეპერტუარი ათი წლის განმავლობაში“ (1920-1930 წწ.).
1931 წ. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 10 გვ.

49. ალ. ახმეტელის სამახსოვრო ჩანაწერი მსახიობ რადოლინისთვის (კალკაზე გადახაზული).
1935 წ. 3 თებერვალი. ხელნაწერი. მასალას ერთვის ფოტოასლი. მელანი. 2 ეგზ. 2 გვ.

სხვადასხვა მასალა ალექსანდრე ახმეტელის შესახებ

50. ირაკლი შერაზადაშვილის ლექსი მიძღვნილი ალექსანდრე ახმეტელისადმი.
1957 წ. 15 ივნისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. 2 გვ.

51. ანატოლი გლებოვის სტატია ალექსანდრე ახმეტელის შესახებ – „Яркий талант“.
1958 წ. იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 13 გვ.

52. თეატრალური კრიტიკოსის კონსტანტინ ფელდმანის სტატია ალ. ახმეტელის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით („Неистовый художник“). ავტორისეული ჩასწორებებით.
1961 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 7 გვ.

53. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის დონელის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
1967 წ. 3 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

54. მაქსიმე მიქაძის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
1967 წ. 5 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.

55. მიხეილ ყვარელაშვილის ერთნაწილიანი ლიტერატურული დოკუმენტური ფილმის სცენარი – „გზა უკვდავებისკენ“ ალ. ახმეტელის შესახებ (I და II ვარიანტი).
1970 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. 17 გვ.

56. ნათელა ურუშაძის მიერ გაკეთებული მოკვლევა ალ. ახმეტელის საცხოვრებელი ბინის შესახებ (თელავი, სოფელი კოღოთა).
1987 წ. 7 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

57. მ. ხუციშვილის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ – „იუბილარის, დიდი ჰუმანისტის, ალ. ახმეტელის დაბადების 80 წლისთავზე. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ (შოთა რუსთაველი)“.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

58. თევზაძის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

59. მ. მიქაძის მოგონება ალ. ახმეტელის სპექტაკლების „ლამარასა“ და „ანზორის“ შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

60. შ. გელიკაშვილის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

61. დიმიტრი შოსტაკოვიჩის სტატია ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
პირი: ვ. მეიერჰოლდი, კონსტანტინ სტანისლავსკი, ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო.
უთარიღო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

62. შალვა ამისულაშვილის ლექსი მიძღვნილი ალექსანდრე ახმეტელისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 ეგზ. 3 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ალექსანდრე ახმეტელის წერილები

63. ალექსანდრე ახმეტელის წერილი საზოგადო მოღვაწის ვანო პაატაშვილისადმი, თელავში „სახალხო გაზეთის“ სისტემატურად მოწოდებასთან დაკავშირებით (წერილი ამოწერილია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივიდან. საქ. № 3. ფ. 5).
1917 წ. ხელნაწერი. ასლი. მელანი. 1 გვ.

64. ალექსანდრე ახმეტელის წერილი ვაჟიშვილის ჯუნასა და მეუღლის – ანასტასიასადმი (ტასო როსტომაშვილი) თანხის მიღებასა და მათ საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1924 წ. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

65. ალექსანდრე ახმეტელის წერილი ვაჟიშვილ შალიკოსადმი, ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით. 1925 ან 1926 წ. 18 აგვისტო. აბასთუმანი. ავტოგრაფი. წერილს ერთვის ტასო როსტომაშვილის მინაწერი – 1925 თუ 1926 წელი. „აბასთუმანში ვართ“. მწვანე მელანი. 4 გვ.

66. ალექსანდრე ახმეტელის წერილი ანატოლი გლებოვისადმი, თბილისში მისი პიესა „ზაგმუკით“ სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.
პირი: ირაკლი გამრეკელი (მხატვარი), იონა ტუსკია (კომპოზიტორი), აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, თამარ წულუკიძე, აკაკი ხორავა, მიხეილ ლორთქიფანიძე, შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი.
1926 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 4 გვ.

67. ალ. ახმეტელის წერილი ა. გლებოვისადმი სპექტაკლ „ზაგმუკის“ განათების შესახებ.
1926 წ. 15 დეკემბერი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 4 გვ.

68. ალ. ახმეტელის წერილი ი. მიკიტენკოსადმი, საგასტროლოდ რუსთაველის სახელობის თეატრის საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ.
1930 წ. 5 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

69. ალ. ახმეტელის წერილი ანატოლი გლებოვისადმი, სერგო ამაღლობელის პიროვნული ხასიათისა და მცდარი თეატრალური მოღვაწეობის შესახებ.
1931 წ. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 4 გვ.

70. ალ. ახმეტელის წერილი ა. გლებოვისადმი, ცეკას მიერ დადგენილ, II სახელმწიფო თეატრის დახურვისა და ამასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.
1932 წ. 11 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 4 გვ.

71. ალ. ახმეტელის წერილი ა. გლებოვისადმი, სპექტაკლ „განგაშის“ წარმატებულ პრემიერასთან დაკავშირებით. აგრეთვე რუსთაველის სახელობის თეატრში დასრულებული რემონტის შესახებ.
პირი: ს. ამაღლობელი (მასალას ერთვის ე. დავითაიას კვლევა წერილთან დაკავშირებით. 1973 წ. 6 ოქტომბერი. 1 გვ.).
1932 წ. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 24 გვ.

72. ალ. ახმეტელის წერილი დავით კიღურაძისადმი დეკადაზე რუსთაველის სახელობის თეატრის წარმატებასა და საზღვარგარეთ საგასტროლოდ მიწვევასთან დაკავშირებით.
1933 წ. 28 აპრილი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. 2 გვ.

73. ალ. ახმეტელის წერილი ა. გლებოვისადმი, მისი პიესების რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
პირი: აკაკი ვასაძე.
1934 წ. 2 დეკემბერი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 8 გვ.

74. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის წერილი თამროსადმი (გვარი მითითებული არ არის).
პირი: ტასო [როსტომაშვილი], შალიკო [ახმეტელი], ვანო, გაბრო (გვარები მითითებული არ არის).
უთარიღო. ანაგა. პეტერბურგი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

75. ალ. ახმეტელის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი მისი თეატრიდან წასვლასთან დაკავშირებით.
[1926 წ.]. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

76. ალ. ახმეტელის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.

წერილები ალექსანდრე ახმეტელისადმი

77. ბაბუცა გამრეკელისა და მარგალიტა ციციშვილის წერილი ალექსანდრე ახმეტელისადმი წარმატებული სეზონის დამთავრებასთან დაკავშირებით.
1924 წ. 25 აპრილი. ხელნაწერი. წერილს ერთვის ტასო როსტომაშვილის მინაწერი. მელანი. 1 გვ.

78. პაოლო იაშვილის წერილი ალ. ახმეტელისადმი კორპორაციაში „დურუჯი“, შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
პირი: კოტე მარჯანიშვილი.
1927 წ. 2 იანვარი. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 3 გვ.

79. ა. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სახელმწიფო დრამატული თეატრის მოსკოვში გასტროლების მიმდინარეობაზე, აგრეთვე მომავალი ოლიმპიადის ჩასატარებლად მუშაობისას შექმნილ წინააღმდეგობათა შესახებ.
პირი: კ. მარჯანიშვილი, ს. ამაღლობელი.
1930 წ. 11 მაისი. ნაბეჭდი. ასლი.რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 3 გვ.

80. ჰედი ფლენგენის წერილი ალ. ახმეტელისადმი ნიუ-იორკში რუსთაველის სახელობის თეატრის საგასტროლოდ მოწვევასთან დაკავშირებით.
1930 წ. 18 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ინგლისურ ენაზე. ერთვის თარგმანი ქართულ ენაზე. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

81. ა. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი „რაპის“ თეატრალურ შეკრებაზე სერგო ამაღლობელისა და სხვა კომპეტენტური პირების გამოსვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. 18 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 3 გვ.

82. ა. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, სერგო ამაღლობელის მიერ დ.ს.ე-ის თეატრალური განყოფილების არასრულფასოვნად ხელმძღვანელობის შესახებ, აგრეთვე მომავალ გეგმებთან დაკავშირებით.
პირი: პანფეროვი, სერაფიმოვი, სტავსკი, ბეზიმენსკი, მეიერჰოლდი.
1931 წ. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 4 გვ.

83. ა. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, მოსკოვში რუსთაველის სახელობის თეატრის სამომავლოდ გასტროლებზე ჩასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ს. ამაღლობელის ცუდი დამოკიდებულების შესახებ ალ. ახმეტელისადმი.
1932 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

84. ა. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის საიუბილეო კრებულისთვის სტატიის შერჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოსკოვში მიმდინარე სპექტაკლების შესახებ.
პირი: ნ. პერშინი, სერგო ამაღლობელი, ბურნოვი, სტეცკოვი, ვსევოლოდ მეიერჰოლდი, ლევ ოსინსკი, შულცი, ი. ზავაცკი, ოხლოპკოვი, ნიკალაი ტაიროვი.
1934 წ. 30 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

85. აკაკი ხორავას წერილი ალ. ახმეტელისადმი, მადლობას სწირავს დახმარებისა და მისდამი გამოხატული საუკეთესო დამოკიდებულებისთვის. ერთვის ფოტოასლი, აკლია 1 ფურცელი.
1934 წ. 14 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.

ალექსადრე ახმეტელის ღია ბარათები

86. ალექსანდრე ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლის, ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ალ. ახმეტელის ვაჟიშვილი), სერგეი (გვარი მითითებული არ არის).
1909 წ. 20 აგვისტო. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

87. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: სერგეი (გვარი მითითებული არ არის).
1909 წ. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

88. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ალ. ახმეტელის ვაჟიშვილი).
1909 წ. კოზლოვი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

89. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ალ. ახმეტელის ვაჟიშვილი).
1909 წ. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

ღია ბარათები ალექსანდრე ახმეტელისადმი

90. ა. პოდოლსკის ღია ბარათი ალექსანდრე ახმეტელისადმი ბათუმში სტუმრობის დროს, მისდამი გამოჩენილი ყურადღების შესახებ.
1932 წ. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

91. ტასო როსტომაშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ალ. ახმეტელისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

92. ნიკო როსტომაშვილის ღია ბარათი (ტ. როსტომაშვილის ძმა) ალექსანდრე ახმეტელისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

პროგრამები

93. სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასის პირველი საჩვენებელი წარმოდგენის პროგრამა. I. „მეფის საცოლე“, II. „ფაუსტი“, III. „სევილიელი დალაქი“, IV. „პიკის ქალი“, V. „თქმულება შოთა რუსთაველზე“. რეჟისორი ალ. ახმეტელი. დირიჟორი ი. ფალიაშვილი.
1927 წ. 12 ივლისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

94. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის პროგრამა – „რღვევა“ (ბ. ლავრენევი). აღდგენილი ალ. ახმეტელის რეაბილიტაციის შემდეგ. სპექტაკლი აღადგინა აკაკი ვასაძემ, მხატვარი ირაკლი გამრეკელი, კომპოზიტორი იონა ტუსკია.
1956 წ. 1 მაისი. სტამბური. მინაწერი ფანქრით და მელნით. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.

95. ალექსანდრე ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის პროგრამა.
1978 წ. 17 აპრილი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათები

96. მოსკოვის ოლიმპიადაზე (1930 წ.) გამართული რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა და ლექციის მოსაწვევი ბარათი.
1930 წ. 17 ივნისი. სტამბური. რუსულ და ფრანგულ ენებზე. 2 ც.

97. მოსკოვის ოლიმპიადაზე (1930 წ.), გამართული სპექტაკლისა და ლექციის მოსაწვევი ბარათი. მომხსენებელი ალ. ახმეტელი.
1930 წ. 21 ივნისი. სტამბური. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

98. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარებული საიუბილეო ზეიმის მოსაწვევი ბარათი.
1934 წ. 14 აპრილი. სტამბური. 1 ც.

99. ალ. ახმეტელის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი (სარეკლამო ფურცელი).
1966 წ. სტამბური. 1 ც.

100. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული, ალ. ახმეტელის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1967 წ. 24 აპრილი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 ც.

101. ალ. ახმეტელის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი.
1978 წ. 19 აპრილი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

102. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული რეჟისორ ალ. ახმეტელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1987 წ. 14 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

103. ალ. ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი (სარეკლამო ფურცელი).
უთარიღო. სტამბური. 2 ეგზ. 1 ც.

დეპეშა

104. ალავიძისა და ნინიძის დეპეშა ალ. ახმეტელისა და თანიაშვილისადმი, სამტრედიაში ჩასვლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 ც.

სხვადასხვა

105. თბილისის სახელმწიფო თეატრის კომისრის – ალ. წუწუნავას წერილი დრამატული საზოგადოების მთავარ რეჟისორ – გ. ჯაბადარისადმი, მსახიობთა „ჯამაგირზე“ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.
მითითებულია მსახიობთა სია: 1) აბაზაძე. 2) ამირეჯიბი. 3) ანჯაფარიძე. 4) გამრეკელი. 5) მჭედლიშვილი. 6) ქიქოძე ან. 7) ქიქოძე ალ. 8) ჩიქვინიძე. 9) ციმაკურიძე. 10) ჯავაშვილი. 11) ღოღობერიძე. 12) არაბიძე. 13) აღსაბაძე. 14) ვასაძე. 15) ზარდალიშვილი. 16) იშხნელი. 17) მჟავია. 18) სარჩიმელიძე. 19) ცინაძე. 20) გელოვანი. 21) ჭიაურელი. 22) ხერხეულიძე. 23) ჯიქია. 24) ლორთქიფანიძე. 25) კობახიძე. 26) შათირიშვილი. 27) გურული.
1918 წ. 26 ოქტომბერი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

106. საშა გველესიანის წერილი შაქრო საფაროვისადმი, თეატრალური რეკვიზიტის (სანდლები) წარმოდგენისთვის თხოვებასთან დაკავშირებით.
პირი: ჭიაურელი [მიხეილ], ახმეტელი [ალექსანდრე].
1920 წ. 9 დეკემბერი. ხელნაწერი. მწვანე მელანი. 1 გვ.

107. კონსტანტინე გამსახურდიას მიმართვა კორპორაცია „დურუჯისადმი“, მოხსენებაზე მიწვევასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების შესახებ.
1924 წ. 3 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

108. აკ. ვასაძის წერილი ა. გლებოვისადმი. ატყობინებს, რომ ცუდი თარგმანის გამო მისი პიესების დადგმა ჯერჯერობით ვერ ხერხდება და მათ მაგივრად რეპერტუარში შევიდა უკრაინელი დრამატურგის ივან კაჩერგას პიესა „Часовик и курица“.
პირი: კ. პატარიძე, ლაღიძე, ი. აბაშიძე, ე. აფხაიძე, შ. აღსაბაძე, ს. ახმეტელი.
1934 წ. ნაბეჭდი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 ეგზ. 2 გვ.

109. ალა ქერიმოვას წერილი ი. ჩუბარნისადმი, ალ. ახმეტელის ლექციის ჩაშლასთან დაკავშირებით.
1935 წ. ბაქო. ხელნაწერი. წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

110. იუზოვსკის წერილი თამარ წულუკიძისადმი ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1956 წ. 20 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

111. ნელი ქუთათელაძის წერილი თამარ წულუკიძისადმი, ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1967 წ. 28 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.

112. უცნობი პირის წერილი ტასო როსტომაშვილისადმი, ალ. ახმეტელის გარშემო შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
პირი: შალიკო (ალ. ახმეტელისა და ტ. როსტომაშვილის ვაჟიშვილი), ნიკო (გვარი მითითებული არ არის).
უთარიღო. 16 მაისი. ხელნაწერი. მელანი. არასრული. 4 გვ.

113. ტასო როსტომაშვილის წერილი იმ პირებისადმი, რომლებიც იმჟამად ალ. ახმეტელთან კონფლიქტში იმყოფებოდნენ (დასაწყისი აკლია).
პირი: შულიგინა, რუტოვსკი, შალიკო (ალ. ახმეტელის ვაჟიშვილი).
უთარიღო. ხელნაწერი. არასრული. მელანი. 4 გვ. **(არ გაიცემა)**.

114. კოტე მარჯანიშვილის მისალოცი დეპეშა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივისადმი, ახალი წარმოდგენის წარმატებით გამართვასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. ფოტოასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 ეგზ. 1 გვ.

115. სავარაუდოდ, ნიკო როსტომაშვილის (ტასო როსტომაშვილის ძმა) წერილი დისადმი, უმცროსი დის ნინას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
პირი: სანდრო ახმეტელი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 4 გვ.

ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის

ფოტოარქივი

1. სანდრო ახმეტელი. პორტრეტი. 16X23, 21X28, 7X10, 11X17, 12X16. 10 ც.
2. რეჟისორი ს. ახმეტელი ცხოვრებაში. 16X23. 11X13. 3 ც.
3. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 11X18, 17X22. 2 ც.
4. ს. ახმეტელი. პორტრეტი 11X16, 12X17. 1 ფოტო დაზიანებულია. 3 ც.
5. ს. ახმეტელი. პორტრეტი 20X27, 17X23, 6X11. 4 ც.
6. ს. ახმეტელი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 11X17, 13X17. 2 ც.
7. ს. ახმეტელი. პორტრეტი. 8X12, 11X15. 1 ფოტო ავტოგრაფით. 2 ც.
8. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 13X18. 11X18, 11X16. 4 ც.
9. ს. ახმეტელი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 12X18, 6X9. 1 ფოტო გამოჭრილია. 5 ც.
10. ს. ახმეტელი სიყმაწვილეში. პორტრეტი. 18X22, 15X19, 6X10. 11X17. 4 ც.
11. ს. ახმეტელი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 11X16. 1 ც.
12. ს. ახმეტელი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 12X17, 16X19, 10X15. 1 ფოტო გამოჭრილია. 11 ც.
13. ს. ახმეტელი (პროფილში). პორტრეტი. 25X33, 17X23, 8X11, 11X16. 8 ც.
14. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. 17X23. 20X28, 24X30. 3 ც.
15. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 13X18. 2 ც.
16. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 9X14, 14X22, 13X18. 1 ფოტო დაზიანებულია. 7 ც.
17. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. 1922 წ. 1 ფოტო ავტოგრაფით. 8X12. 2 ც.
18. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 14X20. 1 ც.
19. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 9X12. 1 ც.
20. ს. ახმეტელი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 12X18. ასლი. 1 ც.

სანდრო ახმეტელის ოჯახის წევრებისა

და მათთან ერთად გადაღებული ფოტოები

1. სანდრო ახმეტელის ვაჟი ჯუნა ბავშვობაში. 5X8. 1 ც.
2. ს. ახმეტელის პირველი ცოლი ტასო როსტომაშვილი და მისი დედა. 1906 წ. თელავი. 11X17. 1 ც.
3. ტასო როსტომაშვილი შვილთან, 3 თვის შალვასთან ერთად. 1907 წ. 6X10. 1 ც.
4. ს. ახმეტელი შვილთან ერთად მანგლისში. 1925 წ. 8X14. 1 ც.
5. ს. ახმეტელის შვილები შალვა და ჯუნა. 6X9. 1 ც.
6. ს. ახმეტელის მეუღლე ტასო, შვილი და სიდედრი. 11X17. 1 ც.
7. ს. ახმეტელის მეუღლე ტასო როსტომაშვილი 16 წლის. 7X15. 1 ც.
8. ს. ახმეტელი და ტასო როსტომაშვილი. 1905 წ. 9X11. დაზიანებული. 1 ც.
9. ს. ახმეტელი, ტ. როსტომაშვილი და კ. გელოვანი 1905 წ. თელავი. 8X11. დაზიანებული. 1 ც.
10. ს. ახმეტელის შვილი შალვა ბავშვობაში. 9X14. 1 ც.
11. ს. ახმეტელის შვილი შალვა ახალგაზრდობაში. 4X8. 1 ც.
12. სანდრო ახმეტელი და შალვა ახმეტელი მანგლისში 1924 წ. 9X13. 1 ც.
13. ს. ახმეტელის შვილი და სიდედრი. 8X13. 1 ც.
14. ს. ახმეტელი და სანდრო კევლიშვილი ახალგაზრდობაში. 11X16. 1 ც.
15. ს. ახმეტელი და ვ. კევლიშვილი სოფელ შილდაში 1905 წ. 10X15. 1 ც.
16. ს. ახმეტელის შვილები ჯუნა და შალვა დედის ნათესავებთან ერთად. 12X15. 1 ც.
17. ს. ახმეტელის ცოლის როსტომაშვილის ნათესავები ელისაბედი და ნინო. 14X16. 1 ც.
18. ს. ახმეტელის ცოლი ტასო როსტომაშვილი ნათესავებთან ერთად. 7X9. დაზიანებული.1 ც.
19. ს. ახმეტელის შვილი ჯუნა ახმეტელი ნათესავებთან ერთად. 1970 წ. 12X18. 1 ც.
20. ს. ახმეტელი შვილებთან ერთად. 1924. 9X14.1 ც.
21. ს. ახმეტელი, შ. ღამბაშიძე, აკ. ხორავა, შალვა და ჯუნა ახმეტელები. 8X12. 1 ც.
22. ს. ახმეტელის უფროსი შვილი შალვა ბავშვობაში. 6X10. 1 ც.
23. ს. ახმეტელი შვილთან ერთად 1935 წ. 9X12. 1 ც. დაზიანებული.
24. ს. ახმეტელის შვილი ჯუნა ხანდაზმულ ასაკში. 9X10, 4X6. 2 ც.
25. ს. ახმეტელის შვილი ჯუნა ხანდაზმულ ასაკში. 7X14, 5X4. 2 ც.

ფოტოები სხვადასხვა პირთან ერთად

1. ჯგუფური ფოტო: ირაკლი გამრეკელი, ია ქანთარია, გრიგოლ ლაღიძე, კუკური პატარიძე, ლ. ადამაძე, პავლე კანდელაკი, აკაკი ვასაძე, იონა ტუსკია, შოთა აღსაბაძე, ბორჩხაძე (დირიჟორი), მ. ჯავახიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი და სხვები. 9X13, 18X23, 13X18. 4 ც.
2. ჯგუფური ფოტო: ტიციან ტაბიძე, ლელი ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო ახმეტელი, დიმიტრი შევარდნაძე, პაოლო იაშვილი. 1929 წ. 13X18. 2 ც.
3. ს. ახმეტელი, შალვა ელიავა და სხვები. 13X18. 1 ც.
4. 1929 წ. თბილისის ვაგზალში მხატვარ გ. იაკულოვის დაკრძალვის ცერემონია 1929 წ. 13X18. 1 ც.
5. რუსთაველის თეატრის დასი. 1926 წ. თელავი. ცენტრში ს. ახმეტელი. 12X17. 3 ც.
6. თ. ჭავჭავაძე, ს. ახმეტელი, აკ. ხორავა. 13X19. 1 ც.
7. ს. ახმეტელი და კრიტიკოსი ლიტოვსკი. კუზბასი. 18X23. 1 ც.
8. ს. ახმეტელი, აკ. ვასაძე, თ. წულუკიძე და სხვები. 18X23. 1 ც.
9. ს. ახმეტელი, თამარ წულუკიძე, ირაკლი გამრეკელი, შ. წერეთელი სპექტაკლ „ყაჩაღების“შემდეგ. 8X13, 18X29. 2 ც.
10. კ. მარჯანიშვილი, მიხეილ ქორელი, ნუცა ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სანდრო ახმეტელი, ბაბუცა გამრეკელი, აკ. ვასაძე, გ. დავითაშვილი, ელენე დონაური და სხვები. 9X14. 1 ც.
11. ს. ახმეტელი, ნ. გოცირიძე. 9X13. 1 ც.
12. ს. ახმეტელი, თ. წულუკიძე, აკ. ხორავა 9X14. 1 ც.
13. ირაკლი გამრეკელი, სანდრო შანშიაშვილი, აკაკი ხორავა, შალვა ახმეტელი, სანდრო ახმეტელი, დიმიტრი მჟავია, კუკური პატარიძე. 1933 წ. 9X12. 1 ც.
14. ს. ახმეტელი, შ. ღამბაშიძე, აკ. ხორავა, შალვა და ჯუნა ახმეტელები. 8X12. 1 ც.
15. კ. მარჯანიშვილი, ვლ. სიმონიშვილი, ს. ახმეტელი, დ. ჩხეიძე, მ. ქორელი, ალ. გველესიანი, ვ. სიდამონ-ერისთავი, დ. ანთაძე. 1923 წ. ბორჯომი. 11X17 2 ც.
16. კ. პატარიძე, ს. ახმეტელი, ნ. გოცირიძე, შ. ღამბაშიძე, დ. ანთაძე, ვ. ჯიქია. მანგლისი. 1924 წ.

17. ვ. ჯიქია, ს. ახმეტელი, ნ. გოცირიძე, უ. ჩხეიძე, პლ. კორიშელი, აკ. ხორავა, შ. ახმეტელი, მ. ვარდოშვილი, შ. ღამბაშიძე. მანგლისი 1923 წ. 12X17, 11X15. 2 ც.
18. აკაკი ხორავა, მისი მეუღლე ნინა მესხიშვილი, სანდრო ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, პაოლო იაშვილი. 14X18. 1 ც.
19. აკ. ფაღავას დრამატული სტუდიის 1926 წლის გამოშვება. ცენტრში აკ. ფაღავა, ს. ახმეტელი. 15X22. 1 ც.
20. ს. ახმეტელი და თამარ წულუკიძე. 1931 წ. აბასთუმანი. 14X19, 16X23, 8X13, 11X14. 4 ც.
21. მოსკოვი, 1930 წ. სპექტაკლ „ლამარას“ შემდეგ ს. ახმეტელი მთავრობის წევრებთან ერთად: სერგეი კიროვი, მიშა კახიანი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე. 12X17, 19X26. 8X12. 5 ც.
22. 1930 წ. მოსკოვის პირველი საკავშირო თეატრალური ოლიმპიადა. გიორგი საღარაძე, კევლიშვილი, დ. მჟავია, ი. გამრეკელი, ივან ბერსენევი, სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, ა. ბოკერია, აკ. ხორავა, თ. წულუკიძე, ბესკინი, გ. ჭილაძე. 13X22. 1 ც.
23. ს. ახმეტელი, დ. ანთაძე, უ. ჩხეიძე, აკ. ვასაძე. 1927 წ. 8X11. 2 ც.
24. ს. ახმეტელი, ტ. როსტომაშვილი, ფ. სიმონოვიჩი, ა. თაქთაქიშვილი, მ. ციციშვილი. 12X17, 9X14. 4 ც.
25. ს. ახმეტელი, ნ. გოცირიძე, დ. ჩხეიძე. 14X19, 8X11. 2 ც.
26. ნ. გოცირიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. ნემო, აკ. ხორავა, ს. ახმეტელი, დ. ჩხეიძე. 8X8, 12X18.
27. ნ. ჯავახიშვილი, ს. ახმეტელი. 8X13. 1 ც.
28. ს. ახმეტელი, ნ. გოცირიძე მანგლისში. 9X14.1 ც.
29. ვ. ჯიქია, ნ. გოცირიძე, შ. ღამბაშიძე, კ. პატარიძე, დ. ანთაძე, პ. ჟორდანია. 11X18, 8X12, 9X14. 3 ც.
30. ს. ახმეტელი, კ. მარჯანიშვილი. 13X17, 17X23, 6X7. 6 ც.
31. ს. ახმეტელი და ნ. გოცირიძე. 14X22, 13X18. 4 ც.
32. ენუქიძე, ს. ახმეტელი და კარახანი მოსკოვში 1930 წ. ნაციონალური თეატრების ოლიმპიადაზე. 8X14, 9X15. 2 ც.
33. დ. ანთაძე, აკ. ხორავა, უ. ჩხეიძე, ს. ახმეტელი, შ. ახმეტელი. 9X14. 21X30. 2 ც.
34. ს. ახმეტელი სუფრასთან უცხო პირებთან ერთად. 17X23. 1 ც.
35. ხარკოვი. რეჟისორები: ადაირ ტიშლერი, ს. ახმეტელი, ლ. ყურბასი და მხატვარი ი. გამრეკელი. 1930 წ. 12X18. 1 ც.
36. მოსკოვი. 1930 წ. ს. ახმეტელი, მელიქსეტოვი, მეიეროვი, ა. ბოკუსია. 11X16. 1 ც.
37. ს. ახმეტელი, ლ. კურბასი, ი. გამრეკელი. 11X15. 1 ც.
38. კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, დ. ჩხეიძე, ს. შანშიაშვილი. 1924 წ. 11X16. 1 ც.
39. ს. ახმეტელი, უ. ჩხეიძე რკინიგზის სადგურზე. 17X23. 1 ც.
40. ს. ახმეტელი, აკ. ხორავა. დ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, ნ. გოცირიძე. 10X20. 1 ც.
41. ს. ახმეტელი, ი. გამრეკელი. 11X15 1 ც.
42. ს. შანშიაშვილი, აკ. ხორავა, ს. ახმეტელი. 17X23. 1 ც.
43. პლ. კორიშელი, ს. ახმეტელი „ანზორის“ რეპეტიციის დროს. 8X14, 7X11. 2 ც.
44. ს. ახმეტელი და თ. წულუკიძე სპექტაკლ „ყაჩაღების“ შემდეგ. 1933 წ. 12X18. 1 ც.
45. გიორგი დავითაშვილი, ს. ახმეტელი, ი. ქანთარია, შ. წერეთელი. 1932-1933 წ. 14X20. 1 ც.
46. ს. ახმეტელი, ა. ენუქიძე, ფ. კონი მოსკოვში, საკავშირო ოლიმპიადაზე .1930 წ. 9X20. 1 ც
47. ს. ახმეტელი სპექტაკლ „ჯუმა მაშიდში“. 17X23, 8X13, 11X17, 12X18. 5 ც.
48. პრეზიდიუმში მსხდომნი: სანდრო ახმეტელი, ნიკო გოცირიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, შალვა დადიანი და სხვები. 13X18. 1 ც.
49. ს. ახმეტელი და ნ. შიუკაშვილი სპექტაკლ „ამერიკელი ძიას“ მონაწილეთა შორის.18X24. 1 ც.
50. ს. ახმეტელი, გიორგი მდივანი, ა. ენუქიძე, კაირაზიანი მოსკოვში. 9X12. 1 ც.
51. რუსთაველის თეატრის საზეიმო საღამო. 1934 წ. სცენაზე: ს. ახმეტელი, ვ. გუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნინო დავითაშვილი, ქეთევან ანდრონიკაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი. 18X23, 11X17. 4 ც.
52. სპექტაკლ „ზაგმუკის“დეკორაციის ფონზე ს. ახმეტელი, კ. პატარიძე, გ. ბუხნიკაშვილი, ი. გამრეკელი, დ. ანთაძე. 1925 წ. 9X13. 1 ც.
53. სპექტაკლ „ზაგმუკის“დეკორაციის ფონზე: ს. ახმეტელი, დ. ანთაძე, კუკუოტ პატარიძე, გიორგი ბუხნიკაშვილი, ირაკლი გამრეკელი. 1925 წ. 9X13. 1 ც
54. ს. ახმეტელის სახლ-მუზეუმის გახსნა კახეთში.1987 წ. 12X18. 16 ც.
55. ს. ახმეტელის დაბადებიდან 80 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. 1966 წ. 9X12. 18X24. 16 ც.